

ნინო პოპიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX
საუკუნეებში: ოსური ანბანი და პირველი ოსური
ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები**

ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარება, რომელიც, სავარაუდოდ, ძველესი საუკუნეებიდან იწყება, მოიცავს მრავალ ეპოქას. ეს ურთიერთობები უმრავლეს შემთხვევაში, ინტენსიური და მრავალმხრივი იყო.

მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში განსაკუთრებულად აქტუალური გახდა ქართულ-ოსური ლიტერატურული, ლინგვისტური და საგანმანათლებლო ურთიერთობები. ამ კუთხით შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ასპექტები:

1. ოსური ანბანის შექმნისა და განვითარების ტენდენციები;
2. გაიოზ რექტორი და ქართულ-ოსური ურთიერთობები;
3. იოანე იაღლუზიძე და მისი წვლილი ქართულ-ოსურ ლიტერატურულ და ლინგვისტურ ურთიერთობებში;
4. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ და ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობები;
5. კოსტა ხეთაგუროვი და ქართული საზოგადოების ცნობილ მოღვაწეებთან ურთიერთობა (მიხეილ ყიფიანთან ერთად ქართული სკოლის დაარსება ვლადიკავკაზში და სხვ.)

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აღსანიშნავია აგრეთვე ის მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მიმდინარეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მთიელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ, რომელშიც ქართველებთან ერთად, ოსებიც იღებდნენ მონაწილეობას. მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველოში დაიწყო სამრევლო სკოლების, საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. სწავლების ენა, თავდაპირველად, იყო რუსული და ქართული, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრი-

დან, აფხაზებითა და ოსებით დასახლებულ ადგილებში ისწავლებოდა აფხაზური და ოსური ენებიც.

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანბანი წარმოადგენს ემოციურად დატვირთულ ძლიერ საიდენტიფიკაციო მარკერს. ხალხებს, რომლებიც ერთიდაიმავე ანბანს იყენებენ, გააჩნიათ საერთო და ერთმანეთთან დაკავშირებული რელიგიური, ასევე კულტურული და პოლიტიკურ ორიენტაცია“ (ტომელერი 2015: 221).

ოსური ანბანის წარმოშობისა და განვითარების საკითხი ძალზე საინტერესოა ქართულ-ოსური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების ჭრილში. ამასთან, ოსური ანბანის წარმოშობა დაკავშირებულია ქართველ და ოს საზოგადო მოღვაწეებთან. კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ქართველებმა იკისრეს ოსურ ენაზე მწერლობის შექმნის ინიციატივა და უთარგმნეს ოსებს საღმრთო და საეკლესიო-მორალური ხასიათის წიგნები მშობლიურ ენაზე“ (კეკელიძე 1980: 59).

ოსური ენის, ისტორიის, კულტურის, ლიტერატურისა და საგანმანათლებლო საკითხებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ქართულ მასალაზე დაკვირვება. ზ. ჭიჭინაძე „ოსეთის ისტორიაში“ მიუთითებს: „ქართლის და ოსეთის სახელწოდებათა ახსნის ხანა, ისტორია, ცხოვრება და სხვა ამგვარნი იქამდის ძველია, იქამდის ერთმანერთხედ გადამბულნი, რომ ძნელად ვინმემ ოსეთის შესახებ რამე დასწეროს და იმან ქართული ენა კი არ იცოდეს“ (ჭიჭინაძე 1913)..

როგორც ცნობილია, ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ჩრდილოირანულ ჯგუფს განეკუთვნება. კავკასიაში ხანგრძლივი ცხოვრების გამო ოსურ ენაზე გარკვეული გავლენა მოახდინა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახმაც. გამოთქმულია მოსაზრებები ოსთა პირველსაცხოვრისის, ოსებისა და ალანების იდენტურობის, ოსური ენის წარმოშობისა და სხვა საკითხების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა ნაწილი ოსური ენის, ასევე, ოსებისა და ალანების განსხვავებულ წარმოშობას ვარაუდობს, ვფიქრობთ, ოსური ენა ჩამოყალიბებული სახით მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, ამ ენაზე იქმნებოდა მდიდარი ფოლკლორი, ხოლო თუ უფრო ადრე არა, მეთვრამეტე საუკუნიდან - მხატვრული ლიტერატურაც. შესაბამისად, ოსური ანბანის/ანბანების შექმნის, ოსური ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და ოსთა განათლების საკითხების განხილვა მნიშვნელოვანია სწორედ ოსური ენის, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მნიშვნელობის მიხედვით.

„ოსურმა ანბანმა მრავალი ცვლილება განიცადა. როგორც ზელენჩუკის ეპიგრაფიკული ძეგლიდან ჩანს, თავდაპირველად ოსური ანბანი ბერძნულ დამწერლობას ეფუძნებოდა. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს არქიმანდრიტმა გაიოზმა, იგივე გაიოზ რექტორმა (1746-1821), საეკლესიო სლაგური შრიფტის საფუძველზე შექმნა ოსური ან-

ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში...

ბანი პავლე გენცაუროვთან (კესაევთან) ერთად. მათ 1798 წელს რუსული ენიდან ოსურ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს „მოკლე კატეხიზმო“ (Popiashvili 2018).

ოსური ანბანი ქართული დამწერლობის საფუძველზე შეუქმნია ცნობილ მწიგნობარს, იოანე იაღლუზიძეს (1775-1830). მან თავისი შექმნილი ანბანის გამოყენებით ოსურ ენაზე თარგმნა სასულიერო წიგნები. ცნობილია 1802 წლის ხელნაწერი წიგნი. იოანე იაღლუზიძემ ეს ანბანი დაბეჭდა 1820 წელს.

1844 წელს ოსური დამწერლობა ძველი სლავური ანბანის საფუძველზე შექმნა ფრანგმა მეცნიერმა ანდრეას შეგრენმა“ (დეტალურად იხ. ბეპიევი 2009; Popiashvili 2018; ქართულ-ოსური ურთიერთობები, ენციკლოპედია-ალბომი 2020).

ოსური ენისათვის გამოიყენებოდა ლათინური ანბანიც. დღეისათვის ოსური ანბანი რუსულ დამწერლობას იყენებს.

როგორც აღინიშნა, პირველი ოსური ანბანის შემქმნელია გაიოზ არქიმანდრიტი, იგივე გაიოზ რექტორი, თელავის სასულიერო აკადემიის ყოფილი რექტორი. გაიოზი დაბადებულია 1750 წელს სოფელ მაღაროში, სიღნაღის რაიონში. მას საფუძველიანი საეკლესიო განათლება მიუღია ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის დახმარებით. გაიოზ რექტორის წარმომავლობის შესახებ ცნობები დაუზუსტებელია და ზოგ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი. სხვადასხვა კვლევაში გაიოზი მოხსენიებულია ბართაშვილად, ნაცვლიშვილად, თაყაიშვილად, თაყაშვილად, ვაგოშვილად და სხვ. ასევე, გაიოზი მოხსენიებულია თაყაევად და თოკაევად. კ. კეკელიძე გაიოზის ბიოგრაფიაზე დაკვირვებისას აღნიშნავს: „რაც შეეხება მის წოდებას, თავადობას თუ აზნაურობას, ეს ისტორიისათვის გამოურკვეველი რჩება“ (კეკელიძე 1980: 354). გაიოზი ჯერ ანტონ კათალიკოსის (1720-1788) მოწაფე იყო და მისი დახმარებით მიუღია სასულიერო განათლება, ხოლო მოგვიანებით, 1775 წლიდან, რუსეთში, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში მიიღო ბერძნულ-რუსულ-ლათინური საეკლესიო განათლება. კ. კეკელიძის ცნობით, „1793 წელს დაარსდა მოზდოკის ეპარქია, რომელშიაც ეპისკოპოსად დაინიშნა გაიოზი, მასვე ჩააბარეს გამგებლობა ოსებში ქრისტიანობის გამავრცელებელი კომისიისა. ოსების განათლებას გაიოზმა დიდი ღვაწლი დასდო: შეადგინა ანბანი, რომელსაც საფუძველად დაუდო სლავური ანბანი“ (კეკელიძე 1980).

მოზდოკის, მისი ეთნოლოგიური, კულტურული და საგანმანათლებლო და სხვა თავისებურებების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბორის კალოევი წიგნში: „Моздокские Осетины“. იგი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ოსური სასულიერო კომისიის მუშაობის საკითხზეც. ბ. კალოევი აღნიშნავს: „ოსური სასულიერო კომისიის შექმნის იდეა ეკუთვნით ქართველ სასულიერო მოღვაწეებს, რომლებიც XVIII საუკუნის დასაწყისში გადასახლდნენ საქართველოდან რუსეთში ვახტანგ მე-6 დროს“ (Калоев 1995: 192). როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსე და მისი ამალა, სულ 1200 (ზოგ წყა-

ნინო პოპიაშვილი

როში, უფრო მეტი) ადამიანი, რაჭისა და ოსეთის გაველით გაემგზავრნენ რუსეთში, შესაბამისად, ახლოს გაიცნეს ოსი ხალხის ყოფა-ცხოვრება, სარწმუნოებრივი და სხვა საკითხები, ნახეს, რომ ქრისტიანული ეკლესიების ნაწილი უკვე დანგრეული იყო. ასევე, მნიშვნელოვანი იყო მისიონერული საქმიანობაც, რაზეც საერო და სასულიერო პირები დიდად ზრუნავდნენ, რათა ქრისტიანობა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო. როგორც ჩანს, ეს იყო ერთგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილებაც, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ყურადღება კავკასიის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილზეც და, მათ შორის, საქართველოზეც იქნებოდა მიქცეული. ამ დროისათვის სპარსეთის ბატონობის ქვეშ დანაწევრებული ქართული სამეფო-სამთავროები ახალ ძალასა და დახმარებას ეძებდნენ, ვახტანგ მეექვსისა და მისი ამალის რუსეთში გამგზავრებაც ამისი დასტური იყო. ბ. კალოევი მიუთითებს, რომ ოსური საეკლესიო კომისიის შესახებ გადაწყვეტილება ორი წლის განმავლობაში, თურქეთისაგან მალულად მიმდინარეობდა. ამავე მიზეზით, კომისიის მუშაობაში არ იყვნენ ჩართულნი რუსი საეკლესიო პირები და კომისია დაკომპლექტდა ქართველი სასულიერო მოღვაწეებით (Калоев 1995: 193-194).

ოსეთის სასულიერო კომისია, რუს. Осетинская духовная комиссия 1744 წელს შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ აქრიმანდრიტო პოხომი, იღუმენი ქრისტეფორე გურამიშვილი (დავით გურამიშვილის ძმა), იღუმენი ნიკოლოზი, ყაზანის ეპარქიის დეკანოზი გორგი დავიდოვი და სხვ. ეს იყო სამისიონერო ორგანიზაცია, რომლის მისიისა და საქმიანობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება. კომისიის მიზანი იყო განათლებისა და ქრისტიანობის გავრცელება ადგილობრივებში, რომლის დახმარებითაც უნდა გავრცელებულიყო რუსეთის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში. ოსეთის სასულიერო კომისია მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. როგორც აღვნიშნეთ, კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველები. იულიუს ფონ კლაპროთი (1783-1835), გერმანული წარმოშობის სწავლული და მოგზაური, აღმოსავლეთმცოდნე, ლინგვისტი, აღწერს რა ოსთა განსახლებისა და ყოფა-ცხოვრების ასპექტებს, ოსეთის სასულიერო კომისიის დაუძნებლად დაკავშირებით მიუთითებს: კომისიის ქართველი წევრები უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ყაბარდოელებისა და ჩეჩნების თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით, საკუთარ თავს აცხადებდნენ რუსეთის წარგზავნილებად. როგორც კლაპროთი აღნიშნავს, ეს რჩევა კომისიამ მიიღო ქურთათის, თესბის, გუჩისა და სხვ. ადგილობრივი სოფლების მაცხოვრებლებისაგან (Klaproth 1812-1814).

ოსეთის სასულიერო კომისიის დაარსებისა და მუშაობის ქართულ წვლილზე მიუთითებს ზ. ჭიჭინაძეც: „ამ კომისიაში განაგებდნენ ქართველი ეპისკოპოზებს გარდა ვახტანგ მეექვსის ძენი და მასთან სხვა და სხვა ქართველთ მწიგნობარნიც. ნამეტურ ქართულ სტამბის გამსწვლნიც შრომობდნენ ოსეთის ერის სასარგებლოდ და უმთავრესად

ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში...

ქრისტეფორე გურამიშვილი, შემდეგ ეპისკოპოზი, რომელმაც ბევრი ამბები იცოდა ოსეთის შესახებ. ამის შემდეგ უმთავრეს მოღვაწედ ითვლება ეპისკოპოზი იოსებ სამეხველი, ნინო წმინდისა. ამათის ცნობებით „ოსეთის საქრისტიანო კომისია“ 1740 წლებში უკვე დიდათ გაფართოვდა. ამ კომისიის მეთაურებმა ოსებში ქართველ მღვდელ მთავრების დახმარებით მძლავრად დაიწვეს მოქმედება. ანტონ პირველის რუსეთში გადასახლების შემდეგიდამ კი სინოდის წინაშე გაირკვა ოსეთში საეპისკოპოზო კათედრის დაარსება, რის მეთაურიც ანტონ პირველი კათალიკოზი გახლდათ. ხოლო ეს ვერ მოხერხდა და ამიტომ ოსეთის საქმენი დაუქვემდებარეს ასტრახანის ეპარქიას. ამიტომაც ქართველთ მღვდელთმთავრების, არქიმანდრიტების და მისიონერების უმთავრეს ბინად ასტრახანი იქმნა დადგენილი, სადაც მართლაცა და ქართველნი მრავლად სცხოვრობდნენ იქაურ ეპისკოპოზის გვერდით და ესენი ოსებზედაც კარგად მოქმედებენ, რასაც ანტონ პირველიც ადევნებდა თვალყურს. ამათის ცდით, 1760 წლებს, ოსეთში სკოლებიც დახსნეს, სადაც ოსთა შვილებს ქრისტიანობას და ქართულ და რუსულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ანტონ პირველს ამაშიაც კაი ცდა მიუძღვის“ (ჭიჭინაძე 1913). ოსებს შორის ქრისტიანობის განმტკიცების, ოსური ენითა და ოსთა განათლებით ანტონ კათალიკოსის დაინტერესების შესახებ ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს: „ანტონ კათალიკოზი დიდათ დაინტერესებული იყო ოსეთის ერის ისტორიით. მას დიდათ სურდა რომ ამ ერში ქრისტიანობა მკვიდრად და სუფთად მოფენილიყო. ანტონ კათალიკოზს ოსების დაწინაურება დიდად სწადდა. ამიტომ მან თავის მოწაფე ბერებთ შორის ოსებიც იყოლია, მათგან ოსური ენაც ისწავლა. ოსურს ენაზედ სურდა ამას, რომ საღმრთო წერილი ეთარგმნა, გალობაც დაეარსებინა“ (ჭიჭინაძე 1913).

ოსეთის სასულიერო კომისია XVIII საუკუნის დასასრულის ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. როგორც ჩანს, კომისიის წევრები სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით ხვდებოდნენ ქართველ მეფეებსა და სასულიერო პირებს. 1946 წელს თეიმურაზ I და კათალიკოსი ანტონი კომისიის წევრს, ეფრემ ჯანდიერს შეხვდნენ. კომისიის ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი პახომიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. ოსეთის სასულიერო კომისიის წევრი იყო გრიგოლ რომანიშვილიც, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველოს რუსეთის მოკავშირეობისათვის შეხვდა ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს. შესაბამისად, შესაძლებელია გამოიყოს ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობის დამატებითი ასპექტებიც:

- ოსურ-რუსული ურთიერთობები;
- ქართულ-ოსური ურთიერთობები;
- ქართულ-რუსული ურთიერთობები.

ნინო პოპიაშვილი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა ოსეთში რამდენიმე მიმართულებით წარიმართა:

- ქრისტიანობის განმტკიცება;
- ეკლესია-მონასტრების აღდგენა;
- საგანმანათლებლო საქმიანობა.

ოსებში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება რამდენიმე ეტაპად მოხდა. ქართულ წყაროებში აღნიშნულია, რომ ოსებს ქართველებთან და სომხებთან ერთად უნდა გაეცნოთ ქრისტიანობა. ცნობილია ოსი პროზელიტი წმინდანებიც. მე-10 საუკუნეში ოსების დიდი ნაწილი ქრისტიანია. დავით აღმაშენებლის მოძღვარი და გამზრდელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი, ოსეთში ცხოვრების დროს, ყურადღებას აქცევდა სარწმუნოებრივ და საგანმანათლებლო საკითხებს. ოსეთში გადახვეწილი არჩილ მეფე დიდ ყურადღებას უთმობს ქრისტიანული სარწმუნოების სწავლა-განათლებას და ქრისტიანობის განმტკიცებას. შესაბამისად, ოსეთის სასულიერო კომისიის საქმიანობაც ამ ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, ანგარიშგასაწევია აგრეთვე ზემოთ მოხსენიებული პოლიტიკური ფაქტორებიც: როგორც რუსეთის ინტერესები ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მიმართ, ისე საქართველოს ინტერესი და მოლოდინები რუსეთისადმი.

ოსეთის სასულიერო კომისიის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავდა რამდენიმე სფეროს. მათ შორის, სასწავლებლების შექმნას ოსი ბავშვებისათვის, ასევე, საეკლესიო წიგნების გამოცემას. წყაროებში აღნიშნულია, რომ არქიმანდრიტი პახომი და გროგოლ რომანიშვილი ოს ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ. 1764 წელს კომისიის ხელშეწყობით ქურთათის ხეობაში, მოზდოკის ციხე-სიმაგრესთან გაიხსნა სკოლა. სკოლის გახსნას წინ უძღვოდა რამდენიმეწლიანი მოსამზადებელი სამუშაო. სკოლის გახსნის მიზეზად კომისია ასახელებდა იმას, რომ ახალგაზრდებს მშობლიური, ოსური ენა არ დავიწყებოდათ, ამასთან, საეკლესიო კანონიკის სწავლება ორ ენაზე: რუსულსა და ოსურ ენებზე მიმდინარეობდა (История христианства на Северном Кавказе 1992). სკოლის სახელწოდება - школа для детей осетин и прочих горских народов - მიანიშნებს, რომ იგი გამიზნული იყო მოზდოკში მცხოვრები ოსი და სხვა მთიელი ხალხის ბავშვებისათვის.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან, 1771 წლიდან, კომისიას ხელმძღვანელობს რუსი სასულიერო პირი. კომისიის წევრების ნაწილი რუსი მისიონერებისგან შედგება. ოსეთის სასულიერო კომისიის მუშაობა 1861 წელს დასრულდა. 1863 წელს კომისიის მუშაობა გააგრძელა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოებამ. ამ დროისათვის უკვე დადებულია გეორგიევსკის ტრაქტატი,

ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში...

გაუქმებულია ავტოკეფალია და საქართველოს, თბილისს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ერთიანი ცენტრის ფუნქცია აქვს.

სხვადასხვა დროს ოსური ანბანის შექმნისა და გამოყენების შესახებ არსებობს დაუზუსტებელი ცნობები არამეული, რომაული, ბერძნული, ქართული მხედრული და ხუცური, არაბული ანბანების გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი დოკუმენტები სამეცნიერო მიმოქცევაში არ დადასტურებულა, გარდა ზელენჩუკის წარწერისა, რომელიც ბერძნული ასოებით არის შესრულებული და მე-10 საუკუნით თარიღდება. ჰქონდა თუ არა ბერძნულ ანბანს ფართო გამოყენება, ჩვენთვის უცნობია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩრდილოეთ ოსეთში აღმოჩენილი საფლავის ქვების წარწერები, რომლებიც ოსურ საკუთარ სახელებს შეიცავს, მთლიანად არაბულ ენაზეა შესრულებული და ამიტომაც, ოსური ენის არაბული დამწერლობის საბუთად ვერ გამოდგება. აღსანიშნავია იულიუს კლაპროთის მიერ XIX საუკუნის დასაწყისის კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერები, სადაც სწავლულს ჩაწერილი აქვს ოსური სიტყვები, თუმცა ჩანაწერების უმრავლესობა ლათინური ანბანით არის შესრულებული, ზოგჯერ გვხვდება ქართული და არაბული ასოებით ჩაწერილი სიტყვებიც, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, შეინიშნება სხვადასხვა სახის ტიპური შეცდომები (დეტალურად არაბული წარწერის შესახებ იხ. Klaproth 1812-1814)

პირველი ოსური ანბანი, რომელიც სამეცნიერო საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ეკუთვნის გაიოზ რექტორს და პავლე გენცაუროვს (კესაევს). იგი შექმნილია საეკლესიო სლავური ანბანის მიხედვით. ამასთან, ჩვენამდე მოღწეულია ამავე პერიოდში, ქართული დამწერლობის მიხედვით შექმნილი ოსური ანბანი იოანე იაღლუზიძისა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ანბანი ერთ დროს, პარალელურად შეიქმნა და პარალელური გამოყენება ჰქონდა.

რომელ წელს შექმნა გაიოზმა პავლე გენცაუროვთან (კესაევთან) ერთად საეკლესიო სლავური ანბანის მიხედვით ოსური ანბანი, არ არის ცნობილი. ცნობილია მხოლოდ, რომ გაიოზმა პავლე გენცაუროვთან (კესაევთან) ერთად ოსურ ენაზე თარგმნა და რუსულ და ოსურ ენებზე 1798 წელს გამოსცა მოკლე კატეხიზმო: „Начальное учение человеком, хотящим учиться книг Божественнаго писания“. წიგნი დაიბეჭდა მოსკოვის სინოდიალურ სტამბაში.

შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის ბოლომდე ოსური ანბანი სლავური დამწერლობის საფუძველზე არ არსებობდა და გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევის) მიერ შექმნილი ოსური ანბანი პირველი იყო. ანბანს მრავალი ხარვეზი ჰქონდა, არ იყო სათანადოდ ასახული ოსური სპეციფიური ბგერები, რაც ტექსტის აღქმასა და წაკითხვას ართულებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოსური ენისათვის სპეციფიკური ასოების დასაწერად გამოყენებული იყო სლავური საეკლესიო ასოები. ასევე, ანბან-

ნინო პოპიაშვილი

ში გვხვდება შედგენილი დამწერლობითი ნიშნები, დიგრაფები: DJ, D3, D4, KГ, KX. „მოკლე კატეხიზმო“ ორენოვანია და შედგება რუსულ და ოსურ ენებზე დაბეჭდილი ლოცვებისაგან. ორივეგან გამოყენებულია რუსული საეკლესიო შრიფტი. ამ ანბანს ფართო გამოყენება არ ჰქონია, თუმცა ოსური კულტურისათვის დიდი შენაძენი იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ანბანი გახდა საფუძველი შემდგომ პერიოდში ოსური ანბანის რუსული დამწერლობის მიხედვით დაფუძნებისა, რომელზეც შეიქმნა და განვითარდა ოსური ლიტერატურა, რომელზეც გამოქვეყნდა ოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, კოსტა ხეთაგუროვის პირველი კრებული.

იცოდა თუ არა გაიოზ რექტორმა ოსური ენა? ამ საკითხის გარკვევა მცირე საარქივო ცნობების გამო შეუძლებელია. ჩვენ მიერ მოძიებული რუსულენოვანი წყაროების ნაწილში მითითებულია, რომ გაიოზ რექტორი, რომელიც რუსულენოვან წყაროებში გაითოკავად არის მოხსენიებული, ოსური ენის მცოდნე იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაიოზ რექტორმა, იმ პერიოდისათვის უკვე ასტრახანისა და კავკავის არქიეპისკოპოსმა, ოსური ანბანის შექმნისა და ოსურ ენაზე მოკლე კატეხიზმოსა და ლოცვანის სათარგმნელად და გამოსაცემად პავლე გენცაუროვი (კესაევი) დაიხმარა. როგორც ოსეთის სასულიერო კომისიის 1812 წლით დათარიღებული ჩანაწერებიდან ირკვევა, პავლე გენცაუროვი 17 წლის განმავლობაში იყო კომისიის წევრი, რადგან მან ოსური ენა ძალზე კარგად იცოდა და სწორედ ის იღებდა მონაწილეობას კატეხიზმოს თარგმანში, რომელიც დიდი შრომის ფასად შეუსრულებია (დეტალურად იხ. ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, Ф. 275. Оп. 1. Д. 4. Л. 2)

გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის მიერ პირველი ოსური წიგნის გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ დასტურდება ოსური ენისათვის კიდევ ერთი ანბანი ქართული ასოების საფუძველზე. იოანე იაღლუზიძის მიერ შექმნილი ოსური ანბანის პირველი ხელნაწერი 1802 წლით თარიღდება. დოკუმენტი წარმოადგენს სოფელ ვანათში არაგვისა და პატარა ლიხვის ხეობაში მცხოვრებ ოსთათვის სასამართლოს დაწესების შესახებ განკარგულებას. დოკუმენტი შედგენილია ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე. საომენოვანი დოკუმენტი გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ მხოლოდ ქართული და რუსული ენები საკმარისი არ იყო დოკუმენტის ადრესატებისათვის. ამასთან, რადგან იმ დროისათვის უკვე გამოცემული იყო რუსული ანბანის გამოყენებით ოსური წიგნები და, შესაბამისად, ოსური დამწერლობა უკვე არსებობდა, მნიშვნელოვანია ოსური დოკუმენტი, რომელიც ქართული ანბანის საფუძველზეა შექმნილი.

1820-24 წლებში იოანე იაღლუზიძემ ოსურ ენაზე, ქართული ანბანის საფუძველზე, გამოსცა რამდენიმე წიგნი: 1820 წელს - „ლოცვანი (საცისკრონი და სამწუხრონი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლა)“, დაიბეჭდა თბილისში. ეს არის

ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში...

ქართულ და ოსურ ენებზე შედგენილი ლოცვანი. ორივეგან გამოყენებულია ნუსხური - იმ დროისათვის საეკლესიო შრიფტი. 1824 წელს გამოიცა „გამოკრებილი კურთხევანი“, დაიბეჭდა მოსკოვში. იაღლუზიძეს გამოუცია კიდევ ორი წიგნი ქართულ-ოსურ ენებზე: ანბანი და ლიტურდია (შანიძე 1965: 170)

იაღლუზიძის ანბანი, ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები ქართული გრაფიკის საფუძველზე მეტყველებს ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობების მჭიდრო კავშირზე.

იოანე იაღლუზიძე დაიბადა 1775 წელს ჯავის რაიონის სოფელ ზალადაში. მცირეწლოვან იოანეს ერეკლე მეორის მითითებით, საეკლესიო განათლებას აძლევდნენ. იოანეს შეუსწავლია წერა-კითხვა და საეკლესიო წიგნები. იგი ცნობილი მწიგნობარი, გადამწერი და საზოგადო მოღვაწე იყო. მას სხვადასხვა დროს გადაუწერია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ბაუმეისტერის „მეტაფიზიკა“ 1976 წელს, სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ 1807 წელს, დავით ბაგრატიონის „ნარკვევი 1814 წელს, „დავრიშიანი“ და სხვა წიგნები. იგი მონაწილეობდა სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენაზე. პირველი ოსური ხელნაწერი, რომელიც 1820 წელს არის შესრულებული, სწორედ იოანე იაღლუზიძეს ეკუთვნის. „1829 წლიდან იოანე იაღლუზიძე ქართულ და ოსურ ენებს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. პარალელურად ბევრს მუშაობდა, როგორც თარგმანებზე, ისე ორიგინალურ თხზულებებზე“ (თედეევი 1965: 174). იოანე იაღლუზიძეს ქართულ ენაზე შეუქმნია ლექსები და პოემა „აღლუზიანი“, სადაც მეფე აღლუზონის საგმირო საქმეებია აღწერილი. პოემა დაწერილია 16 მარცვლოვანი შაირით.

იოანე იაღლუზიძემ 1822 წელს ქართულიდან ოსურად თარგმნა სახარება. თარგმანი ორი ხელნაწერის სახით არის დაცული. პირველი, უფრო ძველი ხელნაწერი ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივში, მეორე კი, სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთ-მცოდნეობის არქივში. ო. თედეევი აღნიშნავს: „თხზულებები ი. იაღლუზიძეს თარგმნილი აქვს ოსური ენის ძველ ჯავურ კილოკავზე. მიუხედავად იმისა, ისინი ერთნაირად გასაგებნი იყვნენ და არიან როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ოსეთის მკვიდრთათვის, მათ შორის, დიგორელებისათვის. საინტერესოა, რომ „ოთხთავის“ თარგმანის დონის შესამოწმებლად მუშაობდა მთელი კომისია (იონა არქიეპისკოპოსი, ნიკო დავითის ძე ჩუბინაშვილი და თვით იაღლუზიძე), რომელმაც შეუდარა იგი სლავურ, რუსულ და ლათინურ „ოთხთავებს“. უფრო ადრე, ს. ერისთავის მეთაურობით, თარგმანი უშუალოდ სოფლებში იქნა წაკითხული, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად გასაგები იყო იგი ოსი მოსახლეობისათვის“ (თედეევი 1965: 174). სახარება ოსურ და ქართულ ენებზე, სავარაუდოდ, დაიბეჭდა 1823 წელს, რუსეთის ბიბლიური საზოგადოების დაფინანსებით, 2000

ეგზემპლარად. „სახარება უნდა დაბეჭდილიყო ორ სვეტად. პირველ სვეტში ქართულად, მეორეში ოსურად ქართული ასოებით, როგორც ეს იალღუზიძის სხვა ნაბეჭდ წიგნებში არის“ (შანიძე 173).

არსებობდა თუ არა იოანე იალღუზიძემდე ოსური დამწერლობა ქართული ანბანის საფუძველზე? როგორც ზოგი მკვლევარი მიუთითებს, ასეთი ანბანი მართლაც უნდა არსებულებოდა, თუმცა ეს მოსაზრება სათანადო დოკუმენტებით ვერ დასტურდება. მ. ჯანაშვილი თავის ვრცელ ნაშრომში ჩრდილოეთ კავკასიის, მათ შორის, ოსებისა და სხვათა შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში, კრებულში „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, გვაწვდის ცნობას, რომ მას უნახავს 1753 წელს გამოცემული ოსური წიგნი ქართული ასოებით (Сборник материалов... 1897: 64). ზ. ჭიჭინაძე „ოსეთის ისტორიაში“ რამდენჯერმე იმეორებს, რომ ოსები საკუთარი დამწერლობისათვის იყენებდნენ ქართულ ანბანს და რომ ქართული ანბანი ოსებისთვისაც იყო შექმნილი, რადგან მასში ასახული იყო ქართული და ოსური ბგერები (ჭიჭინაძე 1913). იოანე იალღუზიძის მიერ შესრულებულ ხელნაწერებსა და გამოცემულ წიგნებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქართული ანბანის სამივე სახეობა, ასომთავრულიც, ნუსხა-ხუცურიცა და მხედრულიც გამოიყენება ოსური ტექსტებისათვის. რაც, ერთგვარად, არსებული ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. „ოსური ტექსტი ქართული მხედრული ასოებით არის ნაწერი, მაგრამ სათაურები, საკუთარი სახელების დასაწყისი ასოები და მუხლების პირველი სიტყვის პირველი ასო მთავრულებით არის მოყვანილი, მთავრულებად კი ძველი ქართული წერის მრგლოვანი სახის ასოებია ნახმარი, როგორც ეს წესად იყო მიღებული იმდროინდელ ქართულ წიგნებშიც, როგორც ასოებითაც უნდა ყოფილიყო დაწერილი თუ დაბეჭდილი: ახლით (მხედრული), თუ ძველით (ხუცურით)“ (შანიძე 1965: 173).

ამასთან, მეორე მხრივ, საფიქრებელია, რომ თუ ეს ტრადიცია მართლაც არსებობდა, იგი მივიწყებული იყო იმდენად, რომ საჭირო გახდა ანბანის გამოცემა მოსკოვში. მოსკოვში გამოიცემოდა საეკლესიო სლავურ ანბანზე შექმნილი ოსური წიგნებიც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაიოზ რექტორმა, იმ დროისათვის, კი, არქიმანდრიტმა გაიოზმა, 1995-1803 წლებში მოზდოკში დააარსა ქართული სტამბა, რომელშიც 1797 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი, ასომთავრული, ნუსხური და მხედრული, რომელსაც ახლავს „ლოცვანი“ და „მოკლე საქრისტიანო სწავლანი“ და სხვ. ა. შანიძე იალღუზიძის ნათარგმნი და გამოუქვეყნებელი ორენოვანი, ქართულ-ოსური სახარების მოსკოვში გამოცემასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „როგორც თავფურცელის ცნობა აჩენს, განზრახული ყოფილა, რომ წიგნი დაბეჭდილიყო 1823 წელს პეტერბურგში, სადაც ხუთი წლით ადრე, 1919 წ. პეტერბურგის ბიბლიის საზოგადოებამ დაბეჭდა მთელი ახალი აღთქმა მხედრული ასოებით; მაგრამ იქვე ქართული ახალი აღთქმა 1816 წ. მოსკოვს დაი-

ქართულ-ოსური საგანმანათლებლო ურთიერთობები XVIII-XIX საუკუნეებში...

ბეჭდა ძველი ასოებით ხუცურად, ხოლო 1824 წ. მოსკოვს დაიბეჭდა ქართულ-ოსური გამოკრებილი კურთხევანი. რადგანაც, ალბათ, ხუცური შრიფტი პეტერბურგში არ მოიპოვებოდა, ამიტომ ორ-ენოვანი სახარება პეტერბურგიდან მოსკოვს გადმოუგზავნიათ სინოდის სტამბაში დასაბეჭდად. მოსკოვში იყო ტექნიკური საშუალება ქართულ-ოსური სახარების გამოსაცემად“ (შანიძე 1965: 174).

რატომ იქმნება ოსური ანბანი თითქმის ერთდროულად, 4 წლის შუალედით რუსული და ქართული ანბანების საფუძველზე? რა პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ გავლენებზე შეგვიძლია ვისაუბროთ? რატომ არის ორივე ანბანის შექმნასთან საქართველო დაკავშირებული? ასევე, რატომ გამოიცემა ერთსა და იმავე პერიოდში, XIX საუკუნის 20-იან წლებში, მოსკოვში, სხვადასხვა შრიფტით შესრულებული ოსური წიგნები? ეს შეკითხვები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოსური ანბანის შექმნა მხოლოდ ერთი ენის გრაფიკის საფუძველზე არ იყო საკმარისი. თუ იოანე იაღლუზიძემდე არსებობდა ქართული დამწერლობის საფუძველზე ოსური ანბანი, ის არ იყო აქტუალური, უკვე მივიწყებული იყო და არ ჰქონდა ფართო გამოყენება. ამასთან, ის არ გამოდგებოდა ჩრდილოეთკავკასიაში მცხოვრები ოსებისათვის იმ დროს, XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში, ფართო გამოყენებისათვის. ამასთან, გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევი) მიერ შექმნილი ოსური ანბანი სლავური დამწერლობის მიხედვით, როგორც ჩანს, არ იყო საკმარისი ოსური მოსახლეობისათვის და საჭირო იყო ოსური ანბანის ქართული დამწერლობის მიხედვით გამოყენება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევი) ანბანსა და იოანე იაღლუზიძის მიერ შექმნილ ანბანს შორის, ასევე, გამოცემულ წიგნებსა და ხელნაწერებს შორის, იკვეთება რამდენიმე საერთო ტენდენცია:

1. ორივე ანბანის შექმნა დაკავშირებულია საქართველოსთან;
2. ორივე ანბანის შემქმნელებს, ამ შემთხვევაში, გაიოზ რექტორსა და იოანე იაღლუზიძეს, ერეკლე მეორის კარზე ჰქონდათ განათლება მიღებული;
3. ორივე ანბანში გამოყენებულია საეკლესიო შრიფტები: სლავური საეკლესიო დამწერლობა და ნუსხა-ხუცური დამწერლობა, რომელიც აღნიშნულ პერიოდში სწორედ საეკლესიო მიზნებისათვის გამოიყენებოდა;
4. საეკლესიო ანბანების გამოყენება ორივე ანბანში, ასევე, სასულიერო ტექსტების თარგმნა და გამოცემა მიუთითებს, რომ ანბანების შექმნის მიზანი იყო ოსთა განათლებასთან და მწიგნობრობის განვითარებასთან ერთად, ოსებში ქრისტიანობის პოპულარიზაცია;
5. ორივე ანბანში სპეციფიკური ოსური ასოები ჩანაცვლებულია მიმსგავსებული ასოებით;

ნინო პოპიაშვილი

6. ორივე ანბანის მიხედვით გამოიცა რამდენიმე საეკლესიო წიგნი, რომლებსაც პარალელური გამოყენება ჰქონდათ;
7. ორივე ანბანის მიხედვით წიგნები ერთსა და იმავე პერიოდში გამოიცემოდა მოსკოვში;
8. გაიოზ რექტორისა და პავლე გენცაუროვის (კესაევი) და იოანე იაღლუზიძის მიერ გამოცემული წიგნები ორენოვანია. პირველ შემთხვევაში - რუსულ-ოსური, ხოლო მეორე შემთხვევაში - ქართულ-ოსური;
9. ორენოვანი წიგნების დანიშნულება შესაძლებელია, რამდენიმე მიმართულებით აიხსნას: ორენოვან წიგნებს ჰქონდა სასწავლო მიზანი და აადვილებდა ორიგინალის - რუსულისა და ქართულის - თარგმანთან - ოსურთან კავშირს. ასევე, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ორენოვან წიგნებს ჰქონდა რუსულ და ქართულ ენებთან არსებული და შემდგომი ურთიერთობების პერსპექტივა
10. აღნიშნულ ორ ანბანს შემდგომი გაგრძელება არ ჰქონია;
11. მიუხედავად იმისა, რომ გაიოზ რექტორისა და იოანე იაღლუზიძის ანბანებს ოსური ენის სამომავლო განვითარება არ ჰქონია, ორი ანბანის, რუსული და ოსური ანბანების პარალელური ხმარების პრაქტიკა დასტურდება მე-20 საუკუნის 30-50-იან წლებშიც. ამ დროისათვის ოფიციალურად იყო დაკანონებული ორი ოსური ანბანი: ჩრდილოეთ ოსეთში რუსული ანბანის მიხედვით, ხოლო სამხრეთში - ქართული ანბანის მიხედვით (დეტალურად იხ. Popiashvili 2018).

XVIII-XIX საუკუნეებში ოსური ანბანის ორი სახეობის შექმნა მიუთითებს ოსების მიმართ პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო ინტერესზე, რომელიც საქართველოს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა და რომელიც რუსეთის მხრიდან სწორედ ამ პერიოდში გააქტიურდა. XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან კი ოსური წიგნები გამოიცემა ვლადიკავკაზსა და თბილისში, ფრანგი მეცნიერის, ანდრიას შევრენის მიერ შექმნილი, სლავურ დამწერლობაზე დაფუძნებული ანბანის მიხედვით.

Nino Popiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Georgian-Ossetian Educational Relations in the XVIII-XIX Centuries:
the Ossetian Alphabets and the First Ossetian Manuscripts and Printed Books
Summary**

The development of the Georgian-Ossetian relations, which presumably has begun since the 4th century BC, includes many epochs. In the eighteenth and nineteenth centuries, Georgian-Ossetian literary, linguistic, and educational relations became particularly relevant. From this point of view, the following aspects should be noted: trends in the creation and development of the Ossetian alphabet; Gaioz the Rector and Georgian-Ossetian relations; Ioane Ialghuzidze and his contribution to the Georgian-Ossetian literary and linguistic relations; Ilia Chavchavadze's newspaper Iveria and the Georgian-Ossetian literary relations; Kosta Khetagurov and the establishment of the Georgian school in Vladikavkaz, etc.

It is important to emphasize those multilateral educational activities that were carried out by the society spreading the literacy among the Georgians and by the society spreading the literacy among the mountain dwellers. The establishment of parish schools and educational institutions has begun in Georgia since the nineteenth century, and so the number of schools has increased in the second half of the nineteenth century. The language of education was Russian and Georgian, but since the second half of the XIX century, the Abkhaz and Ossetian languages have also been taught in the Abkhaz and Ossetian settlements.

There is unconfirmed data on the creation and use of Ossetian alphabets at different times concerning the use of the Aramaic, Roman, Greek, Georgian Mkhedruli and Khutsuri and Arabic alphabets, although such documents have not been confirmed in scientific circles, with the exception of the Zelenchuk inscription, which is made in Greek letters and dates back to the X century. We do not know whether the Greek alphabet was widely used. It should also be noted that the epitaphs found in North Ossetia, containing Ossetian given names, are completely made in Arabic and therefore cannot be used as evidence of the Arabic alphabet of the Ossetian language. Attention should be paid to the records of Julius Klaproth's journeys in the Caucasus at the beginning of the 19th century, where the scholar wrote down Ossetian words, although most of the records were made in the Latin alphabet, sometimes words written in Georgian and Arabic letters are found, although, as expected, there are various typical mistakes.

The origin and development issue of the Ossetian alphabet is very interesting from the point of view of the Georgian-Ossetian literary and cultural relations. Moreover, the origin of the Ossetian alphabet is related to Georgian and Ossetian public figures. The creation of the Ossetian alphabet based on the Russian and Georgian alphabets is related to Georgia and the Ossetian Ecclesiastical Commission, the founders of which were Georgian public and religious figures.

At the end of the 18th century and at the beginning of the 19th century, two alphabets were created in parallel to each other, and religious books were published in both languages. In 1798, a book was published on the basis of the Slavonic church writing under the leadership of Gaioz the Rector, the same Archimandrite Gaioz, and the joint participation of Pavel Gentsaurov (Kesaev). In addition, the Ossetian alphabet of Ioane Ialghuzidze, created according to the Georgian script in the same period, has survived until the present time. We can say that these two alphabets were created at the same time, in parallel and were used in parallel.

It is not known in what year Gaioz, together with Pavel Gentsaurov (Kesaev), created the Ossetian alphabet according to the Slavonic church alphabet. It is only known that in 1798 Gaioz together with Pavel Gentsaurov (Kesaev) translated a short catechism into the Ossetian language and published it in Russian and Ossetian languages: „Начальное учение человеком, хотящим учиться книг Божественнаго писания“. The book was printed at the Moscow Synodal Printing House.

One can say that the Ossetian alphabet, based on the Slavonic writing, did not exist until the end of the 18th century, and the Ossetian alphabet, created by Gaioz the Rector and Pavel Gentsaurov (Kesaev), was the first Ossetian alphabet. The alphabet had a lot of flaws, specific Ossetian sounds were not properly reflected, which made it difficult to perceive and read the text.

Four years after the publication of the first Ossetian book by Gaioz the Rector and Pavel Gentsaurov, another alphabet of the Ossetian language based on Georgian letters is confirmed. The first manuscript of the Ossetian alphabet, created by Ioane Ialghuzidze, dates back to 1802. Was there Ossetian writing based on the Georgian alphabet before Ioane Ialghuzidze? As some researchers point out, such an alphabet really should have existed, although this opinion cannot be confirmed by the relevant documents. Observations of the manuscripts and books published by Ioane Ialghuzidze show that all three types of the Georgian alphabet are used for Ossetian texts: Asomtavruli, Nuskha-khutsuri and Mkhedruli, which, in some ways, can be considered as a continuation of the existing tradition. Moreover, on the other hand, one might think that if this tradition really existed, then it was forgotten so far that it became necessary to publish the

alphabet in Moscow. Ossetian books written in the Slavonic church alphabet were also published in Moscow.

Why is the Ossetian alphabet created almost simultaneously, with a difference of 4 years, based on the Russian and Georgian alphabets? What political, educational and cultural influences can we talk about? Why is Georgia connected with the creation of both alphabets? In addition, why in the 20s of the 19th century, in the same period, were Ossetian books published in different fonts in Moscow? These questions give us reason to assume that the creation of the Ossetian alphabet based on the graphics of one language was not enough. If before Ioane Ialghuzidze there was an Ossetian alphabet based on the Georgian alphabet, it was not relevant, it was already forgotten and was not widely used. However, it was not appropriate for widespread use by the Ossetians who lived in the North Caucasus at that time, at the end of the 18th century and the beginning of the 19th century. However, the Ossetian alphabet, created by Gaioz the Rector and Pavel Gentsaurov (Kesaev) according to the Slavonic script, most likely was not sufficient for the Ossetian population, and it was necessary to use the Ossetian alphabet according to the Georgian script.

It should also be noted that between the alphabet created by Gaioz the Rector and Pavel Gentsaurov (Kesaev) and the alphabet created by Ioane Ialghuzidze, as well as between the published books and manuscripts, several common trends are marked out:

1. The creation of both alphabets is related to Georgia;
2. The creators of both alphabets, in this case Gaioz the Rector and Ioane Ialghuzidze, received education at the court of Erekle II;
3. Church fonts are used in both alphabets: the Slavonic church writing and Nuskhakhutsuri script, which was used for church purposes during this period;
4. The use of church alphabets in both alphabets, as well as translation and publication of religious texts, indicates that the aim of creating the alphabets was to popularize Christianity in Ossetia, along with the education and development of the Ossetians' book-learning;
5. Specific Ossetian letters in both alphabets were replaced by similar letters;
6. Several church books were published in both alphabets which have parallel use;
7. Books in both alphabets were published in Moscow in the same period;
8. The books published by Gaioz the Rector and Pavel Gentsaurov (Kesaev) and Ioane Ialghuzidze are bilingual. In the first case - Russian-Ossetian, and in the second - Georgian-Ossetian;

9. The aim of bilingual books can be explained in several ways: bilingual books had an educational purpose and simplified the connection of the original - Russian and Georgian - with the translation - with the Ossetian. It can also be assumed that the bilingual books had the prospect of existing and future relationships with Russian and Georgian languages.
10. The two above mentioned alphabets did not develop further;
11. Despite the fact that the alphabets of Gaioz the Rector and Ioane Ialghuzidze did not have the future development of the Ossetian language, the practice of the parallel use of two alphabets, Russian and Ossetian, is confirmed in the 30s and 50s of the 20th century. By this time, two Ossetian alphabets were officially legalized: according to the Russian alphabet in North Ossetia, and according to the Georgian alphabet in South Ossetia.

The creation of two types of the Ossetian alphabet in the 18th and 19th centuries point to the political, cultural and educational interest towards the Ossetians that Georgia had for many centuries and which was intensified by Russia during this period. Ossetian books have been published in Vladikavkaz and Tbilisi since the 40s of the 19th century according to the alphabet created by Shëgren on the basis of Slavonic writing.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Klaproth, J. von.** (1812-1814). *Reise in den Kaukasus und nach Georgien: Unternommen in den Jahren 1807 und 1808, auf Veranstaltung der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zu St. Petersburg. Enthaltend eine vollständige Beschreibung der kaukasischen Länder und ihrer Bewohner.*, Halle und Berlin: in den Buchhandlungen des Hallischen Waisenhauses.
- Popiashvili, N.** (2018) The main issues connected to teaching the Abkhazian and Ossetian languages between the 20s and 50s of the XX century, in *International Journal of Multilingual Education*, # 11. 2018, pp. 91-101
- Tomelleri, V. S.** (2015) –Die kyrillische Schrift als Symbol kultureller Zugehörigkeit und Orientierung. In: Vittorio Springfield Tomelleri & Sebastian Kempgen (eds.), *Slavic alphabets in contact (BABEL 7)*. Bamberg: Bamberg University Press, 221–262

- История христианства на Северном Кавказе до и после присоединения его к России**, (1992) Москва Пятигорск
- Калоев Б.** (1995) Моздокские Осетины (Историко-этнографическое исследование), Москва, Наука
- Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа**, (1897), т. XXII
- Цараев В. Четиты Р.** (1977) Осетинская книга, Орджоникидзе, изд. «Ир»
- Центральный государственный архив РСО-Алания**, Ф. 275. Оп. 1. Д. 4. Л. 2
- ბეპიევი, ბ.** (2009) ოსური ხელნაწერები და ქართული ანბანის საფუძველზე შექმნილი ოსური დამწერლობა, I საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქართული ხელნაწერი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გვ. 28-29
- ბეპიევი, ბ.** (2017) ოსური ენის ისტორია, Ирон Аевзаджи истори, თბილისი, „უნივერსალი“
- დარჩია, მ.** (1972) გაიოზ რექტორი, თბილისი
- თედეევა, თ.** (1965) იოანე იაღღუზიძე, ჟურნ. „მნათობი“, საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო, თბილისი, 1965, №12. გვ. 174
- თედეევა, თ.** (1985) ოღლა თედეევა, პირველი ოსური ხელნაწერების ენა. თბილისი: მეცნიერება.
- კეკელიძე, კ.** (1980) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად, ტ. 1
- ქართულ-ოსური ურთიერთობები, (2020) ენციკლოპედია-ალბომი, მთავარი რედაქტორი ნაირა ბეპიევი, თბილისი.
- შანიძე, ა.** (1964) ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მაცნე, 1 (16), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 170-175
- ჭიჭინაძე, ზ.** (1913) ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით, სურათებით, აღწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ, ტფილისი